ოქმი №12

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2025 წლის 22 ივლისს.

სხდომა დაიწყო 12:00 საათზე, დამთავრდა 12:15 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ს. ოდიშარია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ლ. უჩანეიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ზ. ნაჭყებია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ი. ქარდავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ბ. კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე - ბ. ხურცია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - ი. კალანდარიშვილ; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე - ლ. ჯინორია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის"-ს თავმჯდომარე - ლ. კუჭავა.

ასევე ესწრებოდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი საკრებულოს აპარატის უფროსი – ლ. თულაძე; აპარატის თანამშრომლები.

სხდომას თავმჯდომარეობდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენის თაობაზე
მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 9; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილია განკარგულების პროექტი - სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2025 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შეფასების თაობაზე;

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ წარმოდგენილია განკარგულების პროექტი - ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების" სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2025 წლის I და II კვარტალში გაწეული საქმიანობის შეფასების თაობაზე";

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის მიერ წარმოდგენილია განკარგულების პროექტი - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო

სამსახურის 2025 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შეფასების თაობაზე“ და აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია წარმოდგენილი განკარგულებების პროექტები წარედგინოს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 9; წინააღმდეგი–0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განსახილველად წარედგინოს საკითხები შემდეგი დღის წესრიგის პროექტის სახით:

„დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

,,1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2025 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების
მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

2. ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების“ სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2025 წლის I და II კვარტალში გაწეული საქმიანობის შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ინგა ქარდავა

3. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2025 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შეფასების თაობაზე.

მომხსენებელი: სენაკისმუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ბ. კალანდარიშვილი

2. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის მოწვევა, რომელიც გაიმართება სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2025 წლის 29 ივლისს

3. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 ივლისს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: საბა ოდიშარია